

24 საათი

აზიზი

ქართული მსახურკრებით
ქაყოფილი მინისტრი მათ
დაფინანსების გაზრდას
ჰპირდება



A3

კონკრეტული შედეგი განსხვავებული შეფასებით

განახლებული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების პირველი ნაყოფი

გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების მონაწილეობით,
ფენევაში გამართული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები დასრულდა
დოკუმენტის მიღებით დასრულდა. დოკუმენტის თანახმად, გალის რაიონში
ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი უნდა გაიხსნას.

სოფო ბაკია

აფხაზეთის ავტონომიური რეს-
პუბლიკის მთავრობის ხელმძღვანე-
ლმა ირაკლი ალასანიამ, რომელიც
პრეზიდენტის სპეცნარმომადგენელ-
ის სტატუსით მოლაპარაკებებში
მონაწილეობდა, განაცხადა, რომ
"ძალიან დადებითი იმპულსია,

როდესაც აფხაზური მხარე თანხმ-
დება, გადაწყვიტოს ძალიან კონკ-
რეტული საკითხები."

"შე ძალიან დადებითად ვარ გა-
ნწყობილი ამ მოლაპარაკებების
მიმართ. დასრულებული დოკუმენტში,
რომელიც შეხვედრაზე იქნა მიღე-
ბული, ის საკითხებია ასახული,
რომლებსაც ჩვენთვის სასიცოცხ-

ლო მნიშვნელობა აქვს: ადამიანის
უფლებათა დაცვის ოფისის გახსნა
გალში, გაეროს სამოქალაქო პო-
ლიტიკის კომპონენტის შემოღება
ასევე გალში, დევილოთა დაბრუნე-
ბის საკითხის სწრაფი მოგვარება
და ეკონომიკური საკითხების გა-
დაწყვეტა. შევთანხმდით ფართო-
მასშტაბიანი კონფერენციის ჩატა-
რებაზე ბერლინში, გერმანული
მხარის ინიციატივით, რომელიც,
ძირითადად, ეკონომიკური რეაბი-
ლიტაციის პროექტებს მიეძღვნე-
ბა. მანამდე გაიმართება შეხვედ-
რები დევილოთა დაბრუნების საკი-

თხის მოსაგვარებლად. ამგვარად,
ძალიან კმაყოფილი ვარ," - განა-
ცხადა ირაკლი ალასანიამ, რომელ-
იც ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკე-
ბებში პირველად მონაწილეობდა.
უფრო ნაკლები ოპტიმიზმი შეი-
ნიშნება საქართველოს სახელმწი-
ფო მინისტრის გოგა ხაინდრავას
კომენტარში. იგი მიიჩნევს, რომ
რუსეთის როლის გამო, მოლაპარაკე-
ბების შედეგები მოსალოდნელ-
თან შედარებით ნაკლებ პოზიტიუ-
რად იყო.

ბაზრძილაბა A2 ბაზრძილა

საქართველოს მთავრობა ბიზნესმენებთან ურთიერთობის ახალ ფორმას ამჟივრდება

საქართველოს მთავრობა
ბიზნესმენებთან ურთიერთობის
ახალ ფორმას ამჟივრდება.
ყოველთვიურად პრემიერ-
მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი
ბიზნესმენებს პირსაპირ შეხვედრა
და ბიზნესის სფეროში
დაგროვებულ ყველა პრობლემას
მოისმენს. რამდენად შედეგები
ალმონდდება აღნიშნული
შეხვედრები, ანუ რამდენად
გაითვალისწინებს მთავრობა
ბიზნესმენების "სატკივარს", ეს
უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნო-
ღაიდელსა და ბიზნესმენებს შორის
გამართული გუშინდელი შეხვედრა
რამდენიმე საათის განმავლობაში,
დახურულ კარს მიღმა მიმდინარე-
ობდა. როგორც პრემიერ-მინისტრ-
მა ჟურნალისტებს განუცხადა, ბი-
ზნესმენებთან საუბარი სამ ძირით-
ად თემას შეეხო: ბიზნესის მარეგულ-
ირებელ საკანონმდებლო აქტებს,
საქართველოს საინვესტიციო გა-
რემოს კონკურენტუნარიანობის
საკითხებს და კონკრეტული ბიზნეს-
ის პრობლემების განხილვას.

ამას გარდა, გუშინდელ შეხვედ-
რაზე მთავრობამ ბიზნესმენებს სამ-
თვინი მაკროეკონომიკური პოლი-
ტიკა წარუდგინა. "მაკროეკონომი-
კური პოლიტიკა ჩვენ ბიზნესმენე-
ბთან არასოდეს განვიხილავს,
მათი მოსაზრებები კი დაგვეგვის-
ას ძალზედ საინტერესოა," - აცხა-
დებდა გუშინ პრემიერ-მინისტრი.

გუშინდელ შეხვედრაზე ბიზნეს-
მენების მხრიდან შენიშვნები ნაკ-
ლებად ისმოდა. ეს ფაქტი ბიზნეს-
მენების წარმომადგენლებმა იმით
ახსნეს, რომ ისინი აქამდე არასოდ-
ეს ყოფილან ჩახედული შეხვედრის
მთავარი თემის - ქვეყნის მაკროე-
კონომიკური პოლიტიკის დეტალე-
ში. ასე რომ, პრემიერის და ბიზნეს-
მენების შეხვედრას აზრთა ურთი-
ერთვაცვლის ხასიათი ჰქონდა.

23 აპრილს ზურაბ ნოღაიდელი
და ბიზნესმენების წარმომადგენლე-
ბი მორიგ შეხვედრას გამართავენ.
24 საათი

"კონსერვატორების" ახალი "მანაქანი" - ბაჟან ბუნავა

თამარ ასათიანი

დეპუტატმა ბეჟან ბუნავამ
საპარლამენტო უმრავლესობის
რიგების დატოვების
გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა,
უმრავლესობიდან მისი ვასკლა
მხოლოდ ფორმალურ ხასიათს
ატარებს, რადგან ბეჟან ბუნავასა
და "ნაციონალური მოძრაობის"
გზები, უკვე რამდენიმე თვეა,
გაიყო.

ზურაბ ფუნავას გუნდის წევრი
ბეჟან ბუნავა ამ ბოლო დროს სულ
უფრო ნაკლებად გრძობდა მმარ-
თველი პარტიის აქტიურ მხარდა-
ჭერას. პირველად გუნდა უმრავ-
ლესობას მაშინ გაუწყრა, როდეს-
აც, საპარლამენტო თანამდებობე-
ბის განაწილების დროს, თამაშგარე
მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ პარ-
ლამენტთან გამოფონა ინფორმაცი-
ამ, რომლის თანახმადაც, ერთმან-
ეთს დაუპირისპირდნენ ბეჟან ბუნა-
ვა და ზურაბ ფუნავას კარზე მისი ყო-
ფილი "ლობი" - რომან კუსიანი. მათ
ტერიტორიული მთლიანობის აღდ-
გენის საკითხთა დროებითი კომისი-
ის თავმჯდომარის მოადგილის პოს-
ტი ვერ გაიყვეს. ორთაბრძოლა რომ-
ან კუსიანის სასარგებლოდ დასრულ-
და. ბუნავა კი პარლამენტში უფუ-
ნეციოდ დარჩა, რადგან მას არც ერ-
თი სხვა თანამდებობა არ ერგო.

თანაც, სამეგრელოს რეგიონში
პოლიტიკურ ძალთა ხელახალი გა-
დანაწილების პროცესის დაიწყო და
ბეჟან ბუნავა, ასევე, თამაშგარე
მდგომარეობაში დარჩა - იქ ყველა
პრინციპულ გადაწყვეტილებას გი-
გი უგულავა იღებს.

ბაზრძილაბა A2 ბაზრძილა

უცხოეთი

ჰანოვერის ბაზრობა -
გარემანია-რუსეთის "მტკიცე
მეგობრობის" კიდევ ერთი
დამოწმებელი



A3

რუსეთში დამოკრატული პროგრესი უკან იხევს

ექსკლუზიური ინტერვიუ პულიცერის პრემიის წლებანდელ ლაურეატთან,
"ლოს-ანჯელეს თაიმის" მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელთან კიმ მერფისთან

ენო გომარათალი

რამდენიმე დღის წინ ნიუ-იორკში
პულიცერის პრემიის
გამარჯვებულები გამოვიდნენ.
1917 წელს, ჯოზეფ პულიცერის
ანდერძის საფუძველზე დაარსებული
პრემია ერთ-ერთი უმთავრესია
ჟურნალისტურ წრეებში. ის
ერთგვარი ბარომეტრია ახალი
ჟურნალისტური ტენდენციების,
თემების, ფასიულობების და
პროფესიონალიზმისა. შესაბამისად,
მისი მოპოვება თითოეული
ჟურნალისტისა და
გამომცემლობისთვის დიდი პატივია.
წლებანდელი გამარჯვებულები
ცნობილი გაზეთები Los Angeles
Times და Wall Street Journal არიან.
ორივე გამოცემა ერთდროულად
ორ-ორი ჯილდო მიიღო.
კალიფორნიული გაზეთის
ჟურნალისტები, სამედიცინო
პრობლემებსა და რასობრივ
დისკრიმინაციაზე დაწერილ
სტატიათა სერიის გამო, უკვე მეორე
წელია, იმარჯვებენ ნომინაციაში
"საზოგადოების სამსახურისათვის".

ბაზრძილაბა A2 ბაზრძილა



აზიზი

| | 12/4 | 13/4 | 14/4 |
|-----------|------|------|------|
| თბილისი | 26 ☀ | 27 ☀ | 26 ☀ |
| ქუთაისი | 27 ☀ | 27 ☀ | 24 ☁ |
| ბათუმი | 26 ☀ | 24 ☀ | 22 ☀ |
| სოხუმი | 25 ☀ | 26 ☀ | 25 ☁ |
| ფოთი | 26 ☀ | 26 ☀ | 24 ☁ |
| თელავი | 25 ☀ | 26 ☀ | 24 ☁ |
| ზუგდიდი | 27 ☀ | 28 ☀ | 26 ☁ |
| ბორჯომი | 22 ☀ | 23 ☀ | 23 ☁ |
| ახმეტა | 26 ☀ | 26 ☀ | 26 ☀ |
| ჭიათურა | 25 ☀ | 24 ☀ | 23 ☁ |
| ბაზრა | 25 ☀ | 26 ☀ | 23 ☁ |
| სამტრედიო | 27 ☀ | 27 ☀ | 24 ☁ |

B2

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---------------------|--------|
| აშშ დოლარი | 1.8300 |
| ევრო | 2.3730 |
| ბრიტანული სტერლინგი | 3.4596 |
| რუბლი | 0.0658 |

| | A | B | |
|-------|----|------------|----|
| აზიზი | A2 | რევიუ | B2 |
| აზიზი | A3 | სპორტი | B3 |
| აზიზი | A4 | სხვადასხვა | B4 |

"ხისტი" პრემიერი

მაია ჭალაბანიძე



საქართველოში სიტყვა "ხისტი" ლამის ერთადერთ ადამიანთან, ზურაბ
ნოღაიდელთან ასოცირდება. მისი პრემიერად დანიშვნაზე საუბრებიდან
დაწყებული, კაბინეტში შესვლამდე - ეს ეპითეტი რეგრესად სდევდა. ორგზის
ფინანსთა მინისტრმა დღეს სრულიად განსხვავებული ამპლუა უნდა
შეიძინოს და რაც მალე მოხდება ეს, მით უფრო კარგი იქნება. ზურაბ
ნოღაიდელს ინტერვიუები მაინცდამაინც არ ხიზლავს, მაგრამ ევალეუბა
და ეჭვება. ახალ უნარ-ჩვევებთან ჭიდილის გარდა, ჯერჯერობით,
სახეზეა კიდევ ერთხელ გაზრდილი ბიუჯეტი, რაც თავისთავად ცოტა
არ არის. სახეზეა აგრეთვე დადებითი საგარეო იმიჯი, მაგრამ
მოსახლეობის რიგითი წარმომადგენელი ამ ყველაფრისგან
სიკეთეს ჯერ ნაკლებად გრძობს. ახალი პრემიერ-მინისტრი
ახალი ეპოქაა. როგორ ეპოქას შექმნის ზურაბ ნოღაიდელი? ის
თანამდებობაზე ძალიან ჭკვიანი და გავლენიანი პრემიერ-
მინისტრის შემდეგ მოვიდა. მაშინ, როდესაც გარდამავალი
პერიოდი დასრულდა არ არის და ეკონომიკურ
გადაწყვეტილებებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი -
პოლიტიკური ხედვა და ნაბიჯები.

- ამ თანამდებობაზე ძალიან ჭკვიანი, გავლენიანი
პრემიერ-მინისტრის შემდეგ მოხვედით. თან ის თქვენი
მეგობარი იყო, როგორ გაართვით თავი?

- ეს პერიოდი ჩემთვის მიმზე იყო და არის. ქვეყანამ
დაკარგა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მე კი - უახ-
ლოესი მეგობარი, ვის გვერდითაც მთელი ამ ბოლო პე-
რიოდის განმავლობაში ვიდექი. ისე აღმოჩნდა, რომ ის
მე უნდა შემეცვალა ამ საქმეში, რომელიც მისთვის
ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ძალიან ბევრი სირთუ-
ლე იყო... დღეს ნამდვილად არ მაქვს პასუხი კითხვა-
ზე, თუ რამდენად გაავრთეთ თავი ამ საქმეს, ამაზე
საუბარი ნაადრევია.

ბაზრძილაბა B1 ბაზრძილა

ბაზრძილაბა A2 ბაზრძილა

სსიპ "სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო" აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიურ თანამდებობებზე:

- რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი - 9 ვაკანსია;
- აჭარის ა/რ ფილიალის უფროსის მოადგილე - 1 ვაკანსია;
- რაიონული (საქალაქო) განყოფილების უფროსი - 67 ვაკანსია;
- მთავარი სპეციალისტი (თბილისი) - 5 ვაკანსია;
- წამყვანი სპეციალისტი (თბილისი) - 5 ვაკანსია;
- სპეციალისტი (თბილისი) - 5 ვაკანსია;
- სოციალური აგენტი - 280 ვაკანსია;

ვაკანსიების მოკლე აღწერა

1) რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი

პროგრამების მიმდინარეობის კოორდინაცია და მონიტორინგი სამოქმედო ტერიტორიული ერთეულის მიხედვით;

მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირებასთან დაკავშირებული განაცხადების და სხვა დოკუმენტაციის ბრუნვის ორგანიზაცია, კოორდინაცია და კონტროლი;

2) აჭარის ა/რ ფილიალის უფროსის მოადგილე:

დასაქმების და სოციალური დახმარების ღონისძიებების მართვის ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ერთიანი საინფორმაციო ბაზის ფორმირების პროცესის ორგანიზაცია, ინფორმაციული უზრუნველყოფა და სისტემატური მონიტორინგი;

3) რაიონული (საქალაქო) განყოფილების უფროსი:

რაიონული (საქალაქო) განყოფილების საქმიანობის კოორდინაცია, კონტროლი;

განყოფილების ეფექტურ მუშაობაზე პასუხისმგებლობა და განყოფილების ხარისხიანი მუშაობის უზრუნველყოფა;

დასაქმებისა და სოციალური დახმარების ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა.

ერთიანი საინფორმაციო ბაზის ფორმირებისათვის სოციალურ აგენტთა საკადრო რესურსის ოპტიმალური მართვა, კოორდინაცია და კონტროლი.

სხვადასხვა ორგანიზაცია-დანესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველყოფა.

4) სოციალური აგენტი:

სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება, ოჯახთან დაკავშირებული მონაცემების სიზუსტის დადგენა, ოჯახის ქონებისა და ყოფილი პირობების შესწავლა-შეფასება.

5) მთავარი სპეციალისტი (თბილისი):

უზუშეგარდა და სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, აღრიცხვა და კონტროლი; პერიოდული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება.

6) წამყვანი სპეციალისტი (თბილისი):

სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის პროცესის ხელშეწყობა;

ვაკანსიური სამუშაო ადგილების მოპოვება-აღრიცხვა;

განყოფილების საქმიანობების ორგანიზაცია (სარეგისტრაციო ფუნქციონირება და სხვა დოკუმენტაციის წარმოება);

7) სპეციალისტი (თბილისი):

სამუშაოს მაძიებელთა და ვაკანსიების აღრიცხვა, მოპოვებული ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავება;

უზუშეგარის შემწეობის მიმღებ პირთა მონაცემების ციფრულ ფორმატში გადატანა.

შრომის ანაზღაურება

- რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი - 400 ლარი;
- აჭარის ა/რ ფილიალის უფროსის მოადგილე - 350 ლარი;
- რაიონული (საქალაქო) განყოფილების უფროსი - 300 ლარი;
- მთავარი სპეციალისტი (თბილისი) - 250 ლარი;
- წამყვანი სპეციალისტი (თბილისი) - 200 ლარი;
- სპეციალისტი (თბილისი) - 150 ლარი;
- სოციალური აგენტი - შრომის ანაზღაურება განისაზღვრება შესრულებული სამუშაოს მიხედვით და თვეში შეადგენს საშუალოდ 280 ლარს.

მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი, აჭარის ა/რ ფილიალის უფროსის მოადგილე, რაიონული განყოფილების უფროსი - უმაღლესი განათლება, კომპიუტერული უნარ-ჩვევები, კომუნიკაბელურობა, ანალიტიკური უნარი, მენეჯერული და სამუშაო ჯგუფის მართვის უნარი.

სოციალური აგენტი - უმაღლესი განათლება, კომპიუტერული უნარ-ჩვევები, კომუნიკაბელურობა, ანალიტიკური უნარი.

მთავარი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი, სპეციალისტი - უმაღლესი განათლება, კომპიუტერული უნარ-ჩვევები, კომუნიკაბელურობა, ანალიტიკური უნარი.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადება მიმდინარე წლის 12 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით (შაბათ-კვირის ჩათვლით) 10-დან 18 საათამდე შემდეგ მისამართებზე:

თბილისში არსებულ ვაკანსიებზე - ქავთარაძის ქ. N16, შ.პ.ს. "სამკურნალო კომპინატი", III სართული (ქავთარაძის ქუჩის მხრიდან I სართული). ტელ.: 305262;

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ვაკანსიებზე: ბათუმი, ტაბიძის N27 ტელ.: 21965. საკონტაქტო პირები: რუსუდანი აბაშიძე (99)940572, არჩილ ქაშაძე (93)653679;

იმერეთის მხარეში არსებულ ვაკანსიებზე - ქ. ქუთაისი, წერეთლის N21, ტელ.:(231)40443; საკონტაქტო პირები: ნინო თადეაძე (99)179867; დავით იოშაშვილი (93)253124; ელენე კლიშენკო (231)77465;

რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის მხარეში არსებულ ვაკანსიებზე - ამბროლაური, თამარ მეფის ქუჩა N1 ტელ.: 21509, საკონტაქტო პირი: ქეთევან რატიანი (99)567034;

გურჯისტანის მხარეში არსებულ ვაკანსიებზე: - ოზურგეთი, პეტრინის N7 ტელ.: 66764, საკონტაქტო პირი; თეა არაბიძე (93)718087;

სამეგრელო, ზემო სვანეთის მხარეში არსებულ ვაკანსიებზე: - ზუგდიდი, გამსახურდიას N11 ტელ.:50661 , საკონტაქტო პირები: ორესტი სიჭინავა (99)297206; ქეთევან ხუბუტია (93)250126; მანანა გვაჯავა (93)115395;

კახეთის მხარეში არსებულ ვაკანსიებზე: - თელავი, ერეკლე II გამზ. N16 ტელ.:73282, საკონტაქტო პირები: ნინო ჯეირანაშვილი (99)951958, მია აზიკური (99)747775;

სამცხე-ჯავახეთის მხარეში არსებულ ვაკანსიებზე: - ახალციხე, კოსტავას N13 ტელ.:20815, საკონტაქტო პირები: ეკატერინე წამალაშვილი (99)418122; თეონა ყურმაშვილი (93)337301;

მცხეთა-მთიანეთის მხარეში არსებულ ვაკანსიებზე: მცხეთა, აღმაშენებლის N73, საკონტაქტო პირები: მაკა ხამხაძე-გელოვანი, (99)283689;

ქვემო ქართლის მხარეში არსებულ ვაკანსიებზე: - რუსთავი, რუსთაველის N38 ტელ.:158420, საკონტაქტო პირები: ანა მელაშვილი (99)173237, ნინო გოგოლიძე (99)752638;

შიდა ქართლის მხარეში არსებულ ვაკანსიებზე: გორი, სტალინის გამზ. N14 ტელ.:74721, 76966.

საკონტაქტო პირები: ვლადიმერ ახოზაძე (93)228464, ნათია ცხოვრებაძე (99)750787;

წარმოდგენილ განაცხადში კონკრეტულად უნდა იქნას მითითებული კანდიდატისთვის სასურველი რაიონი (ქალაქი) და ვაკანსია (განაცხადის შემოტანა შესაძლებელია, მხოლოდ ერთ ვაკანსიაზე). განაცხადს თან უნდა ერთვოდეს: ავტობიოგრაფია (CV), განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი) ასლი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

ავტობიოგრაფიის ფორმა (CV)

სახელი:

გვარი:

დაბადების თარიღი:

საცხოვრებელი ადგილი:

საკონტაქტო ტელეფონი:

განათლება:

სამუშაო გამოცდილება:

დამატებითი ინფორმაცია: სერთიფიკატები ან რაიმე კონკრეტული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

უცხო ენა:

კომპიუტერის მოხმარების უნარ-ჩვევები

*შენიშვნა: ავტობიოგრაფია უნდა იქნას წარმოდგენილი ნაბეჭდი სახით.

შერჩევა ჩატარდება ეტაპობრივად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. შემდეგ ეტაპზე გასვლის შესახებ ინფორმაციის მისაღებად კანდიდატები 3 მაისამდე უნდა დაუკავშირდნენ: ქ. თბილისში - სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს, ტელ.: 694710; 694720.

რეგიონებში - საკონტაქტო პირებს, სადაც მიიღებენ ინფორმაციას შერჩევის შემდეგ ეტაპზე გასვლის და ტესტირების ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ. გამოუცხადებლობის შემთხვევაში კანდიდატი იხსნება შერჩევიდან.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 694710; 694720.

www.molhsa.ge

ვაკანსიურ თანამდებობებზე თანამშრომელთა აყვანა მოხდება 2005 წლის 1 ივნისიდან.

სსიპ "სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს" ვაკანსიები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

ქ. თბილისი

| ვაკანსიის სახე და რაოდენობა | | | | | |
|-----------------------------|---------------------|---------------------|----------------------|-------------|------------------|
| რაიონული განყოფილება | განყოფილების უფროსი | მთავარი სპეციალისტი | წამყვანი სპეციალისტი | სპეციალისტი | სოციალური აგენტი |
| ისანი-სამგორი | 1 | 1 | 1 | 1 | 17 |
| ვაკე-საბურთალო | 0 | 1 | 1 | 1 | 15 |
| დღუბე-ჩურჩუკეთი | 1 | 1 | 1 | 1 | 9 |
| მთაწმინდა-კრწანისი | 1 | 1 | 1 | 1 | 6 |
| გლდანი-ნაძალადევი | 1 | 1 | 1 | 1 | 19 |

აჭარის ა/რ

| ვაკანსიის სახე და რაოდენობა | | |
|-----------------------------|---------------------|------------------|
| რაიონული განყოფილება | განყოფილების უფროსი | სოციალური აგენტი |
| ფილიალის უფროსის მოადგილე | 1 | |
| ბათუმი | 1 | 7 |
| ხელვაჩაური | 1 | 4 |
| ქედა | 1 | 2 |
| ხულო | 1 | 2 |
| ქობულეთი | 1 | 5 |
| შუაბეგი | 1 | 2 |

რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი

| ვაკანსიის სახე და რაოდენობა | | |
|--|---------------------|------------------|
| რაიონული/საქალაქო განყოფილება | განყოფილების უფროსი | სოციალური აგენტი |
| რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი | 1 | |
| ამბროლაური | 1 | 3 |
| ონი | 1 | 1 |
| ლენტეხი | 1 | 1 |
| ცაგერე | 1 | 2 |

გურია

| ვაკანსიის სახე და რაოდენობა | | |
|--|---------------------|------------------|
| რაიონული/საქალაქო განყოფილება | განყოფილების უფროსი | სოციალური აგენტი |
| რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი | 1 | |
| ოზურგეთი | 1 | 5 |
| ლანჩხუთი | 1 | 3 |
| ჩოხატაური | 1 | 2 |

სამეგრელო-ზემო სვანეთი

| ვაკანსიის სახე და რაოდენობა | | |
|--|---------------------|------------------|
| რაიონული/საქალაქო განყოფილება | განყოფილების უფროსი | სოციალური აგენტი |
| რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი | 1 | |
| ფოთი | 1 | 3 |
| ზუგდიდი | 1 | 9 |
| აბაშა | 1 | 2 |
| მარტვილი | 1 | 3 |
| მესტია | 1 | 1 |
| სენაკი | 1 | 3 |
| ჩხოროწყუ | 1 | 2 |
| ნაღურჯია | 1 | 2 |
| ხობი | 1 | 3 |

მცხეთა-მთიანეთი

| ვაკანსიის სახე და რაოდენობა | | |
|--|---------------------|------------------|
| რაიონული/საქალაქო განყოფილება | განყოფილების უფროსი | სოციალური აგენტი |
| რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი | 1 | |
| მცხეთა | 1 | 4 |
| ახალგორი | 1 | 1 |
| დღუშეთი | 1 | 2 |
| თიანეთი | 1 | 2 |
| ყაბუღეი | 1 | 1 |

იმერეთი

| ვაკანსიის სახე და რაოდენობა | | |
|--|---------------------|------------------|
| რაიონული განყოფილება | განყოფილების უფროსი | სოციალური აგენტი |
| რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი | 1 | |
| ქუთაისი | 1 | 12 |
| ტიბულთი | 1 | 2 |
| წყალტუბო | 1 | 4 |
| ჭიათურა | 1 | 4 |
| ბაღდათი | 1 | 2 |
| ვანი | 1 | 3 |
| ზესტაფონი | 1 | 5 |
| სამტრედიო | 1 | 4 |
| თერჯოლა | 1 | 3 |
| საჩხერე | 1 | 3 |
| ხარაგაული | 1 | 2 |
| ხონი | 1 | 2 |

კახეთი

| ვაკანსიის სახე და რაოდენობა | | |
|--|---------------------|------------------|
| რაიონული/საქალაქო განყოფილება | განყოფილების უფროსი | სოციალური აგენტი |
| რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი | 1 | |
| თელავი | 1 | 4 |
| ახმეტა | 1 | 3 |
| გურჯაანი | 0 | 5 |
| დედოფლისწყარო | 1 | 2 |
| ლაგოდეხი | 1 | 3 |
| საგარეჯო | 1 | 3 |
| სოღნაღი | 1 | 3 |
| ყვარელი | 1 | 2 |

სამცხე-ჯავახეთი

| ვაკანსიის სახე და რაოდენობა | | |
|--|---------------------|------------------|
| რაიონული/საქალაქო განყოფილება | განყოფილების უფროსი | სოციალური აგენტი |
| რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი | 1 | |
| ახალციხე | 1 | 3 |
| ადიგენი | 1 | 2 |
| აბაშინა | 1 | 1 |
| ახალქალაქი | 1 | 3 |
| ნინოწმინდა | 1 | 2 |
| ზორჯომი | 1 | 2 |

ქვემო ქართლი

| ვაკანსიის სახე და რაოდენობა | | |
|--|---------------------|------------------|
| რაიონული/საქალაქო განყოფილება | განყოფილების უფროსი | სოციალური აგენტი |
| რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი | 1 | |
| რუსთავი | 1 | 12 |
| ბოლნისი | 1 | 4 |
| გარდაბანი | 1 | 6 |
| დმანისი | 1 | 2 |
| თეთრი წყარო | 1 | 2 |
| მარნეული | 1 | 6 |
| ნალკა | 1 | 2 |

შიდა ქართლი

| ვაკანსიის სახე და რაოდენობა | | |
|--|---------------------|------------------|
| რაიონული/საქალაქო განყოფილება | განყოფილების უფროსი | სოციალური აგენტი |
| რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის უფროსი | 1 | |
| გორი | 1 | 9 |
| კასპი | 1 | 3 |
| ქარული | 1 | 3 |
| ხაშური | 1 | 4 |

ეპიცენტრი - სოლოლაკი

რა ხდება "სითირესტორანში"



თავანისმცემლები.

პირა ნაფარიძე

ორი კვირა, სოლოლაკის ერთ-ერთ მყუდრო რესტორანში პარასკეობით განსაკუთრებული მუსიკალური საღამოები იმართება. თუკი ლადო ბურდული აქცია-კონცერტები თბილისის კავკასიის ალტერნატიული მუსიკის დედაქალაქად აქცევს, მაშინ "სითირესტორანი" ნამდვილი ეპიცენტრი იქნება.

ლადო ბურდული არ ღალატობს დაწყებულ საქმეს და, როგორც ჩანს, არც შეწყვეტა, ვიდრე თბილისის ალტერნატიული მუსიკის მექაღარა არ აქცევს. დროთა განმავლობაში იცვლება და იხვეწება ის ფორმები, რითაც ალტერნატიული მუსიკის პოპულარიზაცია ხდება. სალონურ შეკრებებს, როკ-ფესტივალებს ამიერიდან ალტერნატიული ცოცხალი მუსიკის რეგულარული კონცერტები ჩაენაცვლება ლუიზიის ქუჩაზე მდებარე "სითირესტორანში".

ლადო ბურდული არ ღალატობს დაწყებულ საქმეს და, როგორც ჩანს, არც შეწყვეტა, ვიდრე თბილისის ალტერნატიული მუსიკის მექაღარა არ აქცევს. დროთა განმავლობაში იცვლება და იხვეწება ის ფორმები, რითაც ალტერნატიული მუსიკის პოპულარიზაცია ხდება. სალონურ შეკრებებს, როკ-ფესტივალებს ამიერიდან ალტერნატიული ცოცხალი მუსიკის რეგულარული კონცერტები ჩაენაცვლება ლუიზიის ქუჩაზე მდებარე "სითირესტორანში".

ამ დღის გარემო ჯერჯერობით "სითირესტორანში" კონცერტები მუშაობს. პროექტის მხარდამჭერი კამპანია დაიწყო ჩვენს გაზეთშიც (ორშაბათობით თავად ლადო ბურდული გვიამბობს პარასკეო ღამის გასართობ ამბებს); უახლეს მონაგალში დაგვიმლოია სატელევიზიო გადაცემების ციკლის მომზადებაც. როგორც პროექტის ავტორებს მიაჩნიათ, სატელევიზიო რგოლი კიდევ უფრო გაზრდის წრეს: ერთმანეთთან დაახლოვებს კავკასიის ახალგაზრდობას, უფრო ახლოს გააცნობს ჩვენს ქვეყნებში არსებულ თანამედროვე მუსიკალურ ჯგუფებს, მათ შემოქმედებას. თუკი იდეა გასართობს, ავტომატურად შეიქმნება კავკასიური მუსიკალური (ერთიანი სარეკლამო, კომერციული, შემოქმედებითი კონცეფციით) ინფრასტრუქტურა, რაც ქართულ მასშტაბზე განსაკუთრებულ დატვირთვას შექმნის და თანამედროვე მუსიკასთან ერთად მისი როლი კიდევ უფრო გაიზრდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორც არის მშვიდობა კავკასიაში, საქართველოს იმიჯი მსოფლიოში. აქვე გასათვალისწინებელია, რომ პროექტის პარტნიორები არიან: ფრანკული მუსიკალური არხი MCM და Trace. პროექტის გაშუქება ევროპული მასშტაბის საშუალებების მიერ საქართველოში ახლახან განვითარებული მოვლენებისა და ევროპაში ინტეგრირების ამბიციების ერთგვარი გამოხატავა იქნება.



ჯაუი 'ლემონ კესი'.

სებული კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაში. ეს საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რადგან იგი, როგორც წესი, კვლავ სამოქალაქო ომისა და პოლიტიკურ დევნათა ასოციაციას ინვესტ. უამრავი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროების კლასიფიკაციაში სამხრეთ კავკასია სახიფათო და კონფლიქტების აფეთქების მხრივ სამომ რეგიონად არის ნახსენები. ანუ ეს ქვეყნები თავის მოქალაქეებს აფრთხილებენ სამხრეთ კავკასიაში მოგზაურობის რისკის შესახებ. ჩვენი ფესტივალი ამგვარი დამოკიდებულების ცვლილებას ემსახურება", - წერია "კავკასიის ალტერნატიული ცოცხალი მუსიკის" პროექტში. ამგვარად, პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საერთაშორისო დონეზე საქართველოს რეპუტაციის რეაბილიტაციაში საკუთარი წვლილის შეტანაა. უცხოელი ხელოვნების აქტიური სტუმრობა (რასაც პროექტი ითვალისწინებს) ცხადყოფს, რომ საქართველოში მოგზაურობა არც ისე სახიფათოა, ასევე საერთაშორისო მოუბზენისა და ტურიზმის განვითარებისთვის შესაფერის ველს შექმნის. ასე რომ, ვისაც რაიმე აკავშირებს პროექტის იდეასთან, ალტერნატიული მუსიკასთან, ისღა დარჩენია, გაისწავლოს "სითირესტორანის" პარასკევის საღამოს გეგმა. აქ ხომ საქართველოს ნამდვილი ალტერნატიული ჯგუფები და შემსრულებლები იკრიბებიან და ასრულებენ.

სწრაფად ხარისხიანად!

EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ნივთების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-განწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებელი გარნიტურის, მატრასებისა და ლეინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-განწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპირილება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფლის, მეტლახის და ლინოლეუმის წმენდა და გაპირილება.
- ავეჯის რესტავრაცია.

შის. ლესელიძის ქუჩა - ყავლაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03, შის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სააგრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50 E-mail: Euroclean_service@posta.ge

ზუგდიდის ქალაქის თვითმმართველობა აცხადებს ღია ტენდერს სამუშაოების შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი: ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები, ქალაქის გარე განათების ქსელის აღდგენითი სამუშაოები და ქალაქის გამწვანების სამუშაოები.

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიულ პირთათვის:

- მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა. (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან)
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან)
- მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროდან).
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს/.

ფიზიკური პირთათვის:

- უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დანაშაულებიდან).
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან)
- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამართლებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან)
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონს, ფაქსს, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს

დამატებითი მოთხოვნები:

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა)
- ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან)

ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მინორების შესახებ.

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ან ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2005 წლის 14 აპრილიდან 2005 წლის 18 აპრილის 16:00 საათამდე შემდეგ მისამართზე:

2100 საქართველო, ზუგდიდი ზ. გამსახურდიას გამზირი N45.

ზუგდიდის ქალაქის თვითმმართველობა

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უზრუნველს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება 2005 წლის 20 აპრილს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოთ ალნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

სალიკვიდაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოზღვნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაეცემა პრეტენდენტებს 2005 წლის 21 აპრილიდან 2005 წლის 22 აპრილის 17 საათამდე მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაეცემა შემდეგ მისამართზე: 2100, საქართველო, ზუგდიდი ზ. გამსახურდიას გამზირი N45, ზუგდიდის ქალაქის თვითმმართველობა მე-5 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი. პრეტენდენტების სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 4 მაისის 12 საათი. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2005 წლის 4 მაისის დღის 14 საათზე.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სამუშაოს მინორება ქ. ზუგდიდში 2005 წლის მაისიდან 2005 წლის ნოემბრამდე.

ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრებს აკაიკი სარაიძეს და მაკა ფიფიას. ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე: 5 04 16, 5 01 04.

სატენდერო კომისია

Wolford

თბილისის განვითარება-სალონი

პოლორდი

მის: ვაჟა-ფშაველას 470

ტელ: 98 85 01

ფასდაკლება 20-50%

FACE2FACE

სააქრობო-სალონი სალონი სააგროცენტრი

ფეის-ცენტრი ანალოგიური რეკონსტრუქციის სააგროცენტრი ახალი სახეების შესარქვავად.

- მონაწილეობის მიხედვით 063333 13-06 20 წამდე ასაკის მოქმედება.
- შიდაპირული გონივრული გარემოების რეკონსტრუქციის ფინალური კონსტრუქციის, საღმრთო ნაწარმების, სალონი-სალონი სააგროცენტრი წარმოშობის წინაშე.
- გამოიყენეთ თქვენი მხსი და მხსილი ახალი სახე.
- მიმდინარეობს მსარქვალთა რეკონსტრუქცია.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას №45 ტელ: 53 69 11 ■ 20 00 20

წაგალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტიტუტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა; შარდის დროს წვა, შარდსაღმრთო ხერხის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამოწვევა; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელის არემი; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მომარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წაგალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესწვება.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაწლავის ბუშტის (ქოლესტიტი), ჰეპატიტის, ვასტრიტის, ნეფრიტის, გინეკოიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსამოფო ური დაავადებების დროს. "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წაგალი "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ ავთიაქემში.

წაგლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ღირებულებას.